№ 203
პარასკევი, 22 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 203
პარასკევი, 22 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ი ვ ე რ ი ა"
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

**მზრუნველი ქუთაისის პირველდაწყებითის სამეურნეო სასწავლებლისა** ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები დანიშნულია ოქტომბრის 16-ს და 17-სა დღესა.
(3—6—1).

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია **ამხანაგობის საზოგადო კრება** განსახილველად შემდეგის საგნებისა:
1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის" მოქმედებისა 1894 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1894 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1895 წ.
კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.
კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ.

ს უ რ ა თ ე ბ ი
მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა
ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ:
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.
ფ ა ს ე ბ ი:
კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

ივანე ბოძაშვილისა და გიორგი ქუმსიაშვილის მოთავეობით
ი ს ყ ი დ ე ბ ა
**წმინდა მატყლი**
ფშაველებისა და თუშებისა. მატყლის საწყობი იმყოფება ავჭალის ქუჩაზედ, ივანე კაზაკოვის შენობაში, № 93.
(5—1869—3).

## ახალი ამბავი

—

*** სასამართლოს გარდაწყვეტილებით რაშკევიჩის მკვლელობაში ბრალდებულთ შემდეგი სასჯელი დაეკისრათ: ბ-ნს ფრიდმანს სამუდამოდ მადნებში მუშაობა, გიგო ნინიევსა და წირიკიძეს 18 წლით მადნებში მუშაობა, სანდრო ნინიევს და ხუციევს 13 წლით, მადნებში მუშაობა, ხოლო ვასილ ნინიაევი სრულიად გამართლებულ იქმნა.

*** გუშინ ქართველმა ექიმებმა გაუგზავნეს პარისს პასტერის ნათესავებს სამძიმრის დეპეშა.

*** ყარსის მხარის გასარუსებლად საერო განათლების სამინისტროში აღძრულია შუამდგომლობა, რათა ხაზინიდგან მიეცეს 14,620 მან. და 76 კ., რომელიც უნდა მოხმარდეს ოლთისის ნორმალურ სასწავლებელთან საქალო კლასისა და მასწავლებელთათვის ბინის აშენებას.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობ."-ე ამბობს, საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება ოქტომბერში მოხდება. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზედ კანდიდატათ თავ. ზაქ. გიორგ. ერისთავს ასახელებენ.

*** გაზ. „კავკაზს" ატყობინებენ, რომ ტფილისის საქალებო წმიდა ნინოს სასწავლებელში საიმპერატორო სტიპენდიაზედ ოც-და-ოთხს სექტემბერს კენჭის ყრა არის დანიშნული.

*** კერძო კომისიამ, რომელიც შესდგა უმაღლესის ბრძანებით 1888 წელს გამოსაკვლევად საქართველოს გზების მნიშვნელობისა, სხვათა შორის, წარმოსთქვა ის აზრი, რომ გზას ყუბანის ოლქიდგან გლუხარის ყელზედ სუხუმისაკენ ომის დროს დიდი მნიშვნელობა ექმნებაო. ამ გზით წაიღებენ სუხუმისაკენ საგზალს და ომისათვის სხვა საჭირო მასალასაო. მიუხედავად ამისა ეს გზა ჯერაც რიგიანად არ არის გაკეთებული.

## ფელეტონი

—

***

როდესაც ბადრად მნათობი მთვარე
ცის კამარაზედ გადაცურდება
და მისი შუქი, გაბრწყინვებული,
ლურჯ ჰორიზონტზედ შეთამაშდება;
ოდეს ბულბულის სტვენა-სიმღერა
ჰაერში ნაზად გაიწკრიალებს,
როს სალამურის სულის კვეთება
მთისა მწვერვალზედ შეისრიალებს;
ოდეს მთის წყარო შეჩერებული,
კვლავ გზას გააპობს, გადიჩხრიალებს,
და ტყე ნიავით გაღვიძებული,
შეიშმუშნება, გაიშრიალებს;
ოდეს მტრისაგან გადახვეწილი
კვლავ ეღირსება თვის ჩაგრულ მხარეს
და როს სნეული, შუქს მოკლებული
კვლავ დაინახავს მზესა და მთვარეს,
მაშინ მეც, ჩაგრულს, სევდისა ნისლი
თავიდამ მწყდება, მყისვე მშორდება;
და იმედები კეთილდღეობის
უბედურს გულში მიღორძინდება!
და ამ იმედით გატაცებულსა
სული მიხარის, მშვიდად სძგერს გული:
ნუ-თუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!.

სოსელო.

### ხალხის ცხოვრებიდგან.

### III *)

საზღვარ-გადასულ ამაყობა-კოპწიაობაშიაც სამაგალითო რამ იყო პელაგია: „ლატაკ-ყარტლიან გლეხუჭანებთან" ლაპარაკს არ იკადრებდა, თავდაუხურავი არ გაივლიდა და იმისი მოშავგვრემანო პირხმელი სახე მუდამ ფერ-უმარილით იყო გალესილი და ჭარხალივით „ატყარტყარებული",— მაშინაც კი, როცა ახლად მიცვალებულ შვილებს ჰგლოვობდა შავის ძაძებით დათალხული.

ერთს მკათათვის ღამეს, როცა მთელი სოფლის მუშა-კაცები და დედაკაცები კალოებზედ იყვნენ, და დანარჩენებს ტკბილად ეძინათ სოფელში, ზაქარიას ოთახ-წინ შეიქნა საზარელი ღრიალი: „ვაიმეევ!.. ვინა ხართ ქრისტიანი, გვიშველეეეთ!.." გულხეთქებით გამოცვივდნენ ხმაურობაზედ დარბაზებიდგან ზაქარიას უმცროსი რძლები, მეზობლის დედაკაცები და „რა იყოთ, რა მოგივიდათო", კითხულობდნენ ბნელაში. პელაგია და ზაქარია თავ-პირში ცემა-ღრიალით მიუგებდნენ: „დავიღუპენიიით!.. ქურდებმა სახლის აკოშკა გაგვიტეხეს, ამოღებული ხანჯლებით თავზედ დაგვადგნენ, პირში ხელცახოცები დაგვჩურთეს, რაც ფული იყო, სულ ამოიღეს ყუთიდგან და გაიქცნენო". «უი! ახა-ვაგლახმე!»— წამოიძახეს აზიზინებულმა დედაკაცებმა და შექნეს იგეთი წივილ-კივილიანი ჟრიამული, რომ ძაღლი პატრონს ველარა სცნობდა და მთელი იმ უბნის ძაღლებიც აზარზარდნენ, აყეფდნენ და ალმუვლდნენ იმ უცნაურ წივილ-კივილზედ, ძაღლების ზარზართან შეერთხმავებული წივილ-კივილი უფრო გაუცნაურდა და ჯოჯოხეთის მუსიკას დაემზგავსა.

მეორე დღეს ზაქარიამ კაცი აფრინა ძმებთან: ეგრე საქმეაო. მოვიდნენ მინდვრიდგან ექვსნივ ძმები საშინლად დადარდიანებულები და დაღვრემილები. პელაგიამ თმა გაიწეწა და თავ-პირში ცემით დერეფანში მიეგება მაზლებს ღრიალით: „დავიღუპენიიით!.. ჩამქოლეეეთ!.. მომკალიიით!.." ზაქარიამაც თავ-პირში წაიშინა, მწარედ დაიკრიფა გულ-ხელი და მორთო ძროხასავით ღრიალი: «ვაიმე, ძმებოოო!.. დავიღუპენიიით!.. აპალთია ყელი გამოვიჭრაა! ხანჯალიც რო დამცეთ, წვეთი სისხლიც არ გადმომვარდება ბოლმისაგან! ვაი მეეე!.. რაღათ მინდა თავი ცოცხალი, მინამ ჩვენი ყელის გამამჭრელებს არ ვიპოვნი და ღორივით ყელს არ გამოვჭრი»!.. გულ-ამომჯდარმა ძმებმაც ბევრი იქვითინეს. ბევრი ისლუკსლუკეს და მერე ჰკითხეს გულ-მოკლულებმა მწარედ დაღონებულ ზაქარიას: «სულ რამთენი ასი თუმანი იქნებოდაო»?—«რა ვიცი, კაცო, დათვლილი ხო არა მქონდა, ეგრე ოთხას-ხუთას თუმნამდინ მეგულებოდაო».—„რას ამბობ, კაცო, მეტი არ იქნებოდაო".—„საიდგან იქნებოდა, სხვა რო სულ იქით იყოს, წლის-წლობამდინ ჩვენ სახლში ნათლობა, ნიშნობა, ქორწილი და ქელეხი არ ილევა და ცოტა ფული უნდააო". ბოლოს იმაზედ გადავიდნენ: ვინც ამ ზაფხულ ჩვენ სოფელში ხუთი-ექვსი სახლი გატეხა, ჩვენი ცეცხლზედ წყლის დამსხმელებიც ისინი იქნებიან და რა გზით მივაგნოთო. არჩიეს, არჩიეს და ბევრის რჩევის შემდეგ ქურდების ძებნის საქმე ზაქარიას მიანდეს, და თითონ-კი ისევ მინდვრისაკენ გასწიეს მოუნელებელ დარდ-ბოროტით პირ-გამშრალებმა.

ერთ ღამეს ზაქარიამ თავისს ცოლს პელაგიას ჩუმად ჰკითხა ქვეშაგებში: „რაში ჩააწყე?" „აე თავით რო მუთაქა გვიძე",—ჩუმადვე უპასუხა პელაგიამ. „იჲ, კარგა მოგიხერხებია", მოუწონა ზაქარიამ. „სუ რამთენ ასი თუმანი გამოვიდა?"—იკითხა ზაქარიამ. „ცამეტ ასი, და ბუჩული ცალკე შავინახე", მიიღო პასუხად. „ეხლა ჩვენ ის-ღა გვინდა, გაყრას ნულა დავახანებთ"; „არა, ჯერ ადრეა, ეჭვს აიღებენ, წელიწადმა მაინც უნდა გაიაროს",—გააფრთხილა ზაქარიამ, და ამგვარად გათენებამდის ათას რაღაცეებს ჩურჩულებდნენ ცოლ-ქმარი.

მთელი ბატიაშვილების ოჯახი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ვითომ მართლა ვიღაც ქურდებმა წაიღეს იმათი ფული, და ის-კი რა იცოდნენ, თუ ათას სამასი თუმანი ზაქარიას და პელაგიას თავ-ქვეშ ედვათ მუთაქაში. ათას ნაირად გველაძუობდა ზაქარია ძმების თვალების ასაბმელად: მითომ-და აი როგორ თავგამოდებით ვეძებ და ვაძებნინებ ქურდებსაო. აბა, რას არ უნდა მოელოდეს ჩვენს დროში ძმაც-კი ძმისაგან. სადღაა უწინდელი ხალხი და ძმობა, ერთობა და სიყვარული, სიმართლე და გულ-მართლობა, ნამუსი და პატიოსნება. აი ეს აწინდელი ზნეობრივად უკუ-მსვლელობაა კიდეც მისი უმთავრესი მიზეზი, რომ დღეს ძმა ძმასთან აღარა დგება, შვილი მამასთან და დედა შვილთან. იყრებიან, თავთავდებიან, აქოცმაცებენ მამულდედულებს, ერთმანერთის სისხლსა ჰსვამენ და ათას გაჭირვება-ჭირ-ვარამისაგან წყალდებიან ყველაფრით დაწვრილმანებულები.

ფულის ჩაჯიბვის შემდეგ, პელაგიამ ისე გადაჰკიდა ერთმანეთს მთელი ოჯახის რძალ-დედამთილები თავისის გველურის ენით, რომ წელიწადს არც-კი გაევლო, გავიყარნეთო, იძახდნენ ყველანი.

გაიყარნენ შვიდნი ძმანი შვიდ წილად და გაიყვეს რაც რამ ჰქონდათ უძრავ-მოძრავი. ზაქარიამ ძველი სახლები ძმებს არგუნა, თითონ თავისს წილში ნარგებ შინა-ვენახის თავში მაღლობზედ მშვენიერი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი წამოიჭიმა და იმათში დასახლდა ცოლ-შვილით. მეორე წელიწადს ზაქარიამ მარანი, თავლა და ბეღელი აიშენა. მესამე წელიწადს ოთხ-თვლიანი წისქვილი გამოკანკლა ქიაურში. მეოთხე წელიწადს სიღნაღში იყიდა ცხრაას თუმნათ ერთი შენობა, რომელსაც ოთხი თვალი დუქანი ჰქონდა და ყოველ-წელს თითო თვალს თხუთმეტი თუმანი ქირა მოჰქონდა. ეხლა-კი ეჭვი აიღეს და ხმა დააგდეს: ის ფულები ზაქარიას ჩაუჯიბნია და განზრახ ქურდებს გადააბრალესო. პელაგია-კი სულ ამას ამბობდა ხალხში: «ჩემ ქმარს კაი მამასახლისობისათვის ხემწიფის ნაგრადა გამოუვიდა და იმით ვიყიდეთო.«

ზაქარია ყველის გუდასავით გაიტენა მამასახლისობიდამ, მოჰბეზრდა და თავი დაანება. ან-კი რაღა საჭირო იყო: ქვაცა ჰქონდა და კაკალიც, თავში შემოსაკრავიც. ჯერ სამოც თუმანს წელიწადში დუქნების ქირას იღებდა. სოფელში კიდევ ბეჯითად გამოვიდოდა კაცი, რომელსაც ზაქარიას ვალი არა ჰმართებოდა თუმანი თვეში ორ აბაზათ და ათ შაურად, რის გამოც „სოფლის ხელმწიფეს" ეძახდნენ ზაქარიას. საკუთარი სამიკიტნო დუქნის მოგება, წისქვილის მინდი, ვენახ-სულადის და ცხვარძროხის შემოსავალი კიდევ სხვა იყო, გარდა ათას წვრილმან შემოსავლი-

*) იხ. „ივერია", № 202.

ნუზრახავთ მომავალ გაზაფხულიდგან დაიწყონ მისი კეთება, რისთვისაც საჭირო იქნება 3,879,000 მან. (გაზ. „ტიფ. ლისტ“.).

⁂ წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ საცავს შემოსწირა ვერა დავითის ასულმა ქართველიშვილმა: 1) ნაბოძები ღრამატა აზნაურთადმი რუსეთისათა, დაბეჭდილი უმაღლესითა ბრძანებითა ს.-პეტერბურგს 1811 წელს, და 2) ღვდლად კურთხევის მოწმობა, მიცემული ანტონ კათალიკოზის მიერ 1792 წ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

⁂ ქუთაისი: აქაურ სამეურნეო სასწავლებლის მმართველად დანიშნულია ბ-ნი ნ. კლუბინი, რომელიც უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდამ და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები ამ სასწავლებელში დანიშნულია მომავალის ოქტომბრის 16-ს და 17-ს. მთხოვნელთ უნდა მიჰმართონ ან მზრუნველს სკოლისას ბ-ნ სტ. ხრ. ხოჯაევს, ან მმართველს ამავე სკოლისას ბ-ნ კლუბინს.

⁂ მეჯუდის ხეობა: ჩვენკენ წრეულ ძალიან მალე აცივდა. დადგა თუ არა სექტემბერი, ახლო-მახლო მთები მაშინვე ჩამოთოვლა და ვგონებთ ამ ერთის თვის შემდეგ ნამდვილი ზამთარიც დაგვიდგეს. ხოლო ჩვენთვის რა არის ზამთარი და როგორ ვწვალობთ ხოლმე ზამთრობით ხეობიდგან ბარში ჩამოსვლაზედ, ამას მხოლოდ ადგილობრივ გზების მნახველი მიჰხვდება. მეტადრე-კი მას აქეთ, რაც ივრეთის მთა მოიმზლვა და მეჯუდის პირად საურმე გზას ზედ გადაუარა, წყალი შეაგუბა და ამით სრულიად შეუკრა საურმე გზა ხეობასა და ქართლელებსაც, რომლებსაც საჭირო ხე-ტყე თუ შეშა აქედგან გააქვთ. დიაღ, დიდად გაუჭირდებათ მეჯუდელებსაცა და ქართლელებსაც, თუ როგორმე გზა არ გააკეთეს.

⁂ ს. შინდისი, (გორის მაზრა): აქ 11 ამ თვისას შეიკრიბნენ სხვა-და-სხვა სოფლის მღვდლები: ადგილობრივი დეკ. ყიფშიძე, ს. ზემონიქოზისა მღ. დავითაშვილი, ახალდაბისა, ვარიანისა და ფხვენისისა—შეიკრიბნენ აგრეთვე ყველა ამ საზოგადოების სოფლების მოხელენი და მოთავეები, ხევის კაცნი გლეხნი, და 12 საათზე შუადღისას ეკკლ. გალავანში სამღვდელოებამ პირველად გარდაიხადა პანაშვიდი მოსახსენებლად სულთა: მეფე საქართველოსი ერეკლე მეორისა და ამომწყდართა ქართველთა გმირთა ამ ასის წლის წინად კრწანისის ველზედ აღა-მაჰმადხანის ჯართან ბრძოლაში—სარწმუნოების და სამშობლოს გულისათვის. გარდახდილ იქმნა პარაკლისი სამეფო სახლისა—და რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედართათვის. შემდგომ საღრთო წესების შესრულებისა ყველა დამსწრენი წავიდნენ სასოფლო კანცელარიის დარბაზში, სადაც დალიეს შესანდობელი ხსენებულთა გმირთა მოსახსენებლად.

⁂ ს. კაიშაური: აქ, სადაც პატარა-კახს მეფე ერეკლეს უცხოვრნია თავისის სახლეულობით ს. კაიშაურთ-კარის ციხეში, შევიკრიბენით მთლად კაიშაურელები და რამდენიმე პირი მთიულეთის სოფლების მცხოვრებთაგანნი და გარდვიხადეთ პანაშვიდი მეფე ერეკლესა და იმ გმირთა სულის მოსახსენებლად , რომელნიც კრწანისის ველსა ზედა დაიხოცნენ. მთიულეთის ხალხს გულში მეტად ღრმად ჩაჭდეული აქვს გმირთა-გმირის ერეკლე მეორის სახელი დიდება და სიყვარული . ამიტომ ყველაზედ უფრო ჩვენ კაიშაურელები ვალდებულნი ვართ მოვიხსენოთ ის მეფე, რომელსაც ამ ასის წლის წინად ჩვენთან უცხოვრნია. დასამტკიცებლად ამისა აქვე მომყავს პატარა ლექსი, თქმული კაიშაურლებზედ:

შე ლომო კაიშაურო,
გაგეათისა მჭინეო,
შვიდჯერ მოგიხდა ხემწიფე,
მხარე შენ დაუჭირეო.

ეს ლექსი სრული არ არის.

⁂ სოფ. ბორი, (შორაპნის მაზრა): ბორში 8 სექტემბერს ღამით მოჰკლეს გზაში გლეხი ბოგვერაძე, რომელიც სტუმრად ყოფილიყო თავისს ბიძისას. ნავახშმევს ბოგვერაძე გამოსულა ბიძიდგან და წასულა შინ. გამოსცდენია თუ არა ბიძის ეზოს, გზაში დახვედრიან ოთხი კაცი, ჯერ კეტები დაუშენიათ საწყალისათვის და მერე რევოლვერი დაუხლიათ ყურში და მოუკლავთ. მიცვალებულის გვამი ოთხი დღე შარაზედ ლაფში ეგდო და გლეხები ყარაულობდნენ.

⁂ ხაშური: ეს მესამე კვირა არის, რაც განუწყვეტლივ წვიმს და მეზობელი მეზობელთან ველარ მისულა ლაფისა და წუმპეების გამო. ერთის მეზობლის კარიდამ მეორე მეზობლის კარამდე ურმის უბეებია გადებული და ისე დადიან საჭირო საქმის დროს. ხაშური მაინცა-და-მაინც არ არის ისე პატარა სოფელი, რომ ქუჩების გაყვან-გამოყვანა სოფლის დაგვარად არ იყოს საჭირო. გვიკვირს, რატომ არ აქცევს ყურადღებას აქამდის ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს. აქამდის ფურგუნების მიმოსვლას აბრალებდნენ გზის გაფუჭებას, მაგრამ დღეს ფურგუნები აღარ დადიან, რაკი რკინის გზა გაიყვანეს ხაშურიდამ ბორჯომამდე და გზები-კი სოფელშიაც და სოფლის ახლო-მახლოც ისევ ძველს მდგომარეობაში არის. დიდმარხვაში ამ ცუდის გზების გამო ხალხი ეკკლესიაში ურმით დაიარება, რადგან ფეხით სიარული ყოვლად შეუძლებელია.

## კორესპონდენცია.

**ს. მარტვილი**, (სენაკის მაზრა). ამას წინად მივმართეთ მთავრობას თხოვნით, რომ აქ დაეარსებინათ სამკურნალო. მთავრობამაც მიჰხედა ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას და შეიწყნარა ჩვენი თხოვნა. ექიმიც დანიშნეს, დროებით სახლებიცუჩვენეთ და შემდეგ ამისა ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ვფიქრობდით ეხლა მაინც უსაშუალობით არ დავიხოცებითო, მაგრამ მას აქეთია თვალებ-გაშტერებით შევყურებთ ექიმსა და ფერშლებს, და არ იქნა არ გვეღირსა არც ექიმი და არც ფერშალი. კარგს იზამს ექიმი ნაოდალევის სამკურნალოსი გაზეთის საშუალებით გვაცნობებდეს , რა არის მიზეზი, რომ ამდენს ხანს ვერ მოდის ახლად დანიშნულ ადგილზედ?

რაჟდენ ჭალაგანიძე.

ს. მარტვილი, 17 სექტემბერი, 1895 წ.

**დვაბზუ**, 19 სექტემბერი. გურიაში კარგად შეიგნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა, როგორც გვიჩვენებს ამას სახალხო დასაწყის სკოლების რიცხვთა სიმრავლე; გულითა და სულით სცდილობენ საზოგადოდ, თითქმის ყველა პატარა თუ დიდ სოფლებში გახსნან ერთ-კლასიანი სკოლა.

მიუხედავად ყველა იმისა, რომ სხვა-და-სხვა გვარი გადასახადებით და მოთხოვნილებით საკმაოდ მძიმედ დატვირთულნი არიან, კიდევ იმატებენ ხარჯს, ოღონდ-კი სწავლა მიაღებინონ თავიანთ შვილებს. მაგრამ დვაბზუს საზოგადოებაში თუ როდისმე ჩამოვარდება სიტყვა, რომ აქაური სკოლა ორ-კლასიან სკოლად გადააკეთონ, მაშინ შემდეგ პასუხს მოისმენთ: „რათ გვინდა ორ-კლასიანი, აგიც გვეყოფაო, თუ ვინმეს მეტი სწავლა უნდა, აგერაა ოზურგეთიც, ბარემ ოთხ-კლასიან სასწავლებელში ისწავლოს , ვისაც - კი შეუძლია და ქეაო!“ თითქმის ყოველ წლივ ბავშვების მიღების დროს დვაბზუს სკოლაში ყველა მსურველთათვის ადგილი არ ჰყოფნიდა, იყო ერთი-მეორეს ცილობა, შური და ხშირად ჩხუბიც. როგორც

---

სა. ხმა დადიოდა: ზაქარია ქურდავაზაკების თავი უსტაბაშია და იმათიდამაც დიდი შემოზღვაება აქვსო. ან-კი რატომაც არ ექნებოდა, კბილის გამომჩხრეკავი მოდავე ვინა ჰყვანდა: ყველა სოფლის ჭამია ბობოლები და მოხელეები ზაქარიასაც მუჭაში ეჭირა ჯოჯოხეთის განათებული ქრთამით თუ პურ-მარილით და სომხებზე გაცილებით მეტად ზაქარია სწველავდა, ჰყვლეფავდა და ატყავებდა მრავალ ღარიბ-გაჭირვებულ მოძმეებს. ქართველი რომ გასომხდება სომეხზე უარესი გახდებაო, სწორედ ამიტომ უთქვამს კიდეც ხალხის შორს-გამჭვრეტელ გონიერებას.

იქამდისაც-კი მიაღწია ზაქარიას თვალ-გულ გაუმაძღრობამ, რომ თავის ზვარში ერთ მტევან ყურძენს ან ისვრიმს ვერ იმეტებდა თავისათვის მოსაწყვეტად, ლატაკ მომიჯნეების პაწაწინა ვენახებში ჰკრეფავდა მალვით ავლა-ჩავლაში. ხშირად ჩასჩიჩინებდა თავის მეზვრეს: „აარჩევდე-ყე აქათ - იქით ვენახებში კაი იფნი სარებს და გადმაიტანდეო . მა ენას-კი მაგრა მოუჭი, თორე ხო მიცნოფო“. მეზვრე რო ყოყმანით ეტყოდა: «ვაი თუ ღმერთმა მიწყინოსო, ზაქარია თვალების ბრიალით შეუტევდა ხოლმე: „ჰაი შე ლაჩარო! ჯერაც არ გითქვამ: ვაი თუ ღმერთმა მიწყინოსო! რა უნდა გაცოდონ, შე რეგვენო, შენ აქ მამე რამე და იქა მთხოვეო“. „იი! რა იყო, კაცო! რა გაჯავრებს, მე იმითვინა გკითხავ-ყე, რო შენ უფრო კარგა იცი ღვთიჰ ზაკონები, თორე რა მენაღვლება, რაც ვენახებში სარია—თუნდა სუ აქ გადმოვზიდამო“, ამშვიდებდა მეზვრე. მრავალთა თვალების ასახვევად ზაქარია წირვა-ლოცვასაც არ აკლდებოდა: ვითომ-და ღვთის მოყვარული ვარო, მაგრამ საყდარშიაც თავის ეშმაკურ საქმეზედ ჰფიქრობდა და ერთად-ერთი სიტყვაც არ შესდიოდა თავში საღმრთო წერილისა. ერთის სიტყვით, ზაქარიას პირველი ღმერთი ფულები იყო. ვისთანმე რომელიმე სათუო საქმის შესახებ ლაპარაკში ხშირად ჩააკერებდა ხოლმე იგი ამ სიტყვებს: „შენ ფული თქვი , თორე—ერიჰაა! ფულით რას არა იქ. ფულით თუნდა ქვეყნის მათამაშებელ მეფეებსაც-კი შენ ჰკვაზედ ათამაშებ და მესაცრე თათარივით მოუყოლებ: ჩოლახ, ჩოლახ, მაიმუნ! შახტი, ბუქნე, მაიმუნ! და მემრე შენ სეირს უყურე: ისიც როგორ მართლა მაიმუნივით ჩაკუნტდეს, აკუნტდეს , შახტეს , გადახტეს , ჩაბუქნოს , აიჩანჩხოს , მალაყ გადავიდეს , ყირაზედ დადგეს—და ვინ მაჰთვლის რეები არა ქნას ფულის გულისათვინ. აი რა შაუძლიან ფულს!.. დიაღ, შენ ფული თქვი, თორე ფულით სუყველა შაიძლება.“ იქამდისა ჰქონდა ზაქარიას გამჯდარი ძვალ-რბილშიაც-კი ფულის თაყვანება, რომ როცა ის ზამთრის ღამეს ღუდღუდა ბუხრის ძირას ნამჯდომიარე ბურანში წავიდოდა, ძილშიაც-კი თითებზედ ფულებს ანგარიშობდა ღუდუნით და თავის კანტურით.

სულ ექვსი შვილი ჰყვანდა ზაქარიას: ზოგი ყვავილ-წითელამ მოუკლა, ზოგი უგუნურ ექიმების უკუღმართმა წამალმა, ზოგი უწამლობამ, ერთი მოსწრებული ვაჟიშვილიც, როგორც ვიცით, ქალაში გარდაეცვალა ხატის გზაზედ ციებ-ცხელების ანთებისაგან, და დაჰრჩა ერთად-ერთი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ისეთი ნაზი, გულ-ჩვილი და მშვენიერი ქალი თიკო, როგორც მისივე ცრემლი პირველა სიყვარულისა. თიკო იყო მცოდნე წიგნისა, კეთილ-ზნეობიანი ზრდილობიანობისა, დიდად მოსიყვარულე მძივ - მარგალიტივით ხელთ-ნაწერ „ვეფხვის ტყაოსნის“ გულ-დაპყრობით კითხვისა და საუცხოვო ხელთ-საქმიანობისა.

ორი სიტყვა გაიოზის ვინაობაზედაც. გაიოზი იმავე სოფლის გლეხ-კაცის რევვენაძეს შვილი გახლდათ. პატარობაში ვიღაც მალიან მღვდელს წერა-კითხვა ესწავლებინა „თავისს სულის-გულისათვინ“ და კარგა ხანი გაეტარებინა იმ მღვდელთან. ბოლოს, როცა მღვდელი გარდაცვლილა, ზაქარიასთან დამდგარა მოჯამაგირეთ და აღარ მოჰშორებია. მეტად გულ-კეთილი, ალალმართალი, უწყინარი, მშვიდი, თავმდაბალი და მხნე-გამრჯელი იყო გაიოზი, რის გამოც ბევრი ,,ალა‘‘ ცდილობდა თავისთან გაეყვანა, მაგრამ გამოქლესილი ზაქარია მუდამ ტკბილი სიტყვით ხელზედ იხვევდა. უწიგნო ზაქარიას ბევრნაირად სჭირდებოდა შინაც წიგნის მცოდნე გაიოზი და წელიწადში თორმეტ თუმან ჯამაგირს აძლევდა. ხანდისხან თავიც-კი მოჰქონდა გაიოზით: ეგეთი ლომისებური წიგნიანი მოჯამაგირე მყავო. მთელ ქვემო-ქიზიყის გლეხობაში განთქმული იყო გაიოზი თავისს ფალავნობით, თამაშობა-მომღერლობით და მოშაირობით. ველის ყვავილებივით ლამაზ-ლამაზი სოფლის გოგოები ხომ „ძალზედ იხრუკებოდნენ‘‘ გამოსურათხატებულ გაიოზის სილამაზე-სივაჟკაცით.

შორს გამჭვრეტელი გონების თვალის გულთა-მხილაობაც არ დაგჭირდებოდათ და უბრალო შეხედვითაც ადვილად შეატყობდით, რომ ნამდვილი ქიზიყელი ვაჟკაცი იყო გაიოზი: თვალნი მისნი სულის მხნეობის ცეცხლს აფრქვევდნენ, პატრონის გულის მტკიცე ხასიათის შეურყეველ ძლიერებას აგრძნობინებდნენ მნახველს, და მის ვაჟკაცურ სახის დამშვიდებულ გამომეტყველებაში აშკარად იხატებოდა მისივე გულის სიწრფელე, სულის სიპატიოსნე და კეთილის მოყვარულობა. გაიოზმა გველური და მელური ორპირობისა და ორგულობისა არა იცოდა-რა; რაც გულში ჰქონდა ის ენაზე ეკერა. ვერ ათქმევინებდით ტყუილს, გინდ მთელის ქვეყნის სიმდიდრე მიგეცათ, და ვერ ჩაათქმევინებდით სათქმელ სიმართლეს, თუნდაც რომ იმავ წუთას დაგეჩრჩოთ იმ თქმისათვის. ბევრს ზნე-წამხდარს ძალიან უკვირდა გაიოზის ასეთი „გაჰკირი“ ხასიათი და ხშირად ეუბნებოდნენ: ,,მიჰყე, მიჰყე, სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო, შენ მაგრე ქვეყანაში ვერ იცხოვრებო‘‘. მეტადრე მაშინ აბეზრებდნენ ამ თქმით, როდესაც გაიოზის რაშიმე შესყიდვას რომელიმე საჭიროებისათვის თვით სოფლის ჭამია ბობოლების ბობოლაც ვერ ახერხებდა ვერას გზით. ,,რა ვქნა, ღმერთს ეგეთი გავუჩენივარ და უფლისაგან მირონ-ცხებულ მოძღვარს. —ვინც მე წიგნი მასწავლა—ეგრე დავურიგებივარ, და როგორ-და გადავკეთდე: ძროხი ქონი ხო არა ვარ, რო ახლა სხვა ყალიბზედ ჩამოვესხაო“, მიუგებდათ ხოლმე გაიოზი, რომელსაც ყველგან და ყველაში ცხადად ეტყობოდა, რომ მართლაც იმ ვიღაც კურთხეულ მოძღვარს ბევრირამ კეთილი ცოდნა ჩაეთესნა მის გულ-გონებაში მამაშვილურის რჩევა-დარიგებით და უეჭველია თავის სანაქებო, ზნეობრივი სიფაქიზით აღსავსე ყოფა-ქცევის ზედ-გავლენითაც, რადგანაც გაიოზი ისე არ მოიგონებდა თავის მასწავლებელ-მოძღვარს, რომ წინ „უფლისაგან მირონ-ცხებული“ არ წაემძღვარებინა მის ხსენებისათვის.

ბევრს რაშიმე ემცნეოდა გაიოზს, რომ უხვად მოეპოებოდა თავის ბუნებითის ნიჭის წყალობით შეძენილი კეთილ-ზნეობიანი თვით-შეგნებულობაც, სწავლა-ცოდნის სიყვარული, უცნობ საქმე-საგნის ცნობის-მოყვარეობა და მუდამ კეთილ-ვაჟკაცად ყოფნის სურვილი. ცხოვრების გამოცდილებას დაერწმუნებინა, რომ ყველა კეთილი ცოდნისაგან იბადება, ცოდნა დაუსრულებელია და ამიტომაც სიკვდილამდის კაცს სწავლა არ მოსჭარბდება. ნაპოვნ წიგნის ნაგლეჯ-ფარატინსაც წაუკითხავს არ გაუშვებდა ხოლმე გაიოზი და სადაც-კი უსწავლელს ან ნასწავლ კაცს შეჰხვდებოდა ნალაპარაკებს—გულ-დაპყრობით უგდებდა ყურს და ბევრ-გვარად ჰზომავდა და სწონავდა თავის გულ-გონებაში იმათ ნათქვამ სიტყვებს თავისავე გულგონების გასაწრთვნელად თუ ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ყველა ესენი იყვნენ იმისი მიზეზნი, რომ მინდორში გაზრდილი გაიოზის გონივრული სიტყვა-პასუხი და კეთილზნეობიანი ყოფა-ქცევა არა ერთსა და ორს აკვირვებდა და ბევრს გამოჩერჩეტებულს ხეპრე-შურიანს მის-

საზოგადოდ სხვა სასწავლებლებში, ისე ჩვენ სკოლაშიაც უადგილობისა გამო ბევრნი დარჩნენ მიუღებელნი.

რა გაეწყობოდათ, დედ-მამით შინისაკენ დაბრუნდნენ იმედ-გაცრუებულნი პატარა ბავშვები, სახე მოწყენილნი და გულ-მოწყლულნი.

წელს როგორც იყო რამდენიმე პირნი ზემოხსენებულის საზოგადოებისა, შეწუხებულნი თავიანთის შვილების ამგვარ მდგომარეობით, გულწრფელ სურვილს აცხადებენ, — შეუდგნენ მეცადინეობას ეს სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ, და თუ ნივთიერი შეძლება ნებას მისცემთ, როგორმე შემდეგის წლისთვის მოასრულონ.

მაქსიმე ივანეს-ძე ღლონტი.

## აჭარის გათათრება.

ნაამბობი (თევდორიძეს) ორცველის საკოლლისაგან

აჭარა ყველაზედ გვიან გათათრდა. სპარსელთ საქართველოსთან ომი ჰქონდათ, სპარსელთ ქართველებს ვერაფერი დააკლეს, მათ მხოლოდ აჭარა დაიპყრეს და ბევრი შავი დღებიც დააყენეს. ქართველნი ძლიერ შეწუხდნენ ამაზედ. მცირე ხნის შემდეგ ესენი დაირაზმნენ სპარსელთ წინააღმდეგ და ერთს დღეს ომი გამოუცხადეს, აჭარელთ დაეხმარნენ სხვა ქართველნიც, ამათ დაიწყეს ომი და სპარსელნი აჭარიდამ განდევნეს და თავიანთი ქვეყანა განათავისუფლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალნი ჭანეთის გონიამდის მოვიდნენ და გონიათში გაიმაგრეს ფეხი. გონიის ციხიდამ ამათ დაიბარეს აჭარის მოწინავე პირები და გამოუცხადეს ამათ, რომ ოსმალნი გარეკეთ, ბევრი წვა-დაგვა მოგადგათ, ახლა ჩვენ გვინდა აჭარაში შემოვიდეთ და ძალით თქვენი ქვეყანა დავიპყროთო. თუ გინდათ, თქვენ ჩვენ ნებით დაგვმორჩილდით და თავი დაგვიკარით, თუ არა და ჩვენ ძალით შემოვალთ აჭარაში, — ომს დავიწყებთ და ძალით დაგიმორჩილებთო. დაფიქრდნენ ქართველნი, პასუხი ვერ მისცეს, აჭარაში გაგვიშვით და იქ ჩვენებს დავეკითხებით და მელე მოგცემთ პასუხსაო. ქართველნი წამოვიდნენ აჭარაში და ყოველისფერი ქართველებს მოახსენეს, რომ ოსმალნი ასე გვითვლიან და თქვენ რას იტყვითო? ერმა მიუგო:

— ჩვენ არ შეგვიძლიან, ოსმალს თავს ვერ დაუკრავთ, მათი თავის დაკვრით ბოლოს ჩვენ გაგვათათრებენ და დავიღუპებით. ხალხი უარზედ დადგა. მოწინავე პირებმა რჩევა მისცეს, რომ საქმეს წავაგებთო. ისევ ნებით დავუკრათ თავიო. ხალხმაც ნება მისცა და ესენი წავიდნენ და ოსმალთ მოახსენეს, რომ ოღონდ ნუ აგვაოხრებთ და ჩვენ ჩვენის ნებით გემორჩილებითო. ოსმალთ მიიღეს და ყველა მოწინავე პირებს დახმარება მისცეს, საჩუქრები, მიწები დაურიგეს და როგორც თავისის ნებით დამონებულს ერს ხარჯად ათის თავი დაადეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთ ამ პირებს აჭარის ადგილების გამგეობა ჩამოართვეს და მის ნაცვლად საჩუქრები დაუნიშნეს. ამას შემდეგ ისმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ, რადგანაც სახელმწიფოსთვის ეს საჭიროაო. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებლი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს მხოლოდ სწავლება დააწყებინეს თათრულის ენისა და წერა-კითხვის. რომელი ყმაწვილიც-კი დაისწავლიდა თათრულს ანბანს, იმას კარგს საჩუქრებს და საქმეებს აძლევდნენ; ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში აღორძინეს თათრულის ენის სიყვარული. რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირე ოდნად მუსლიმანობაზედ ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება ყმაწვილებს შეასწავლეს. ამ დროს აჭარა ისევ ქრისტიანობაში იყო. ოსმალთ დაიწყეს დიდად მეცადინეობა. მალე ოსმალთ მიიხმეს ქართველი მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, ქრთამები და სთხოვეს, რომ თათრის სჯულის გავრცელებაში თქვენ ჩვენ დაგვეხმარეთო. მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველ ხალხში, უმეტესად ახალგაზდებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებულებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურ ქალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარას გამოღმა მხრის უმეტესი სოფლები გათათრებულ იქმნა. ყველაზედ დიდი ხანი ქრისტიანობით თავი გაღმა მხარში ქედმა და ს. ბორცვამ შეინახეს. აქ ქრისტიანობის სასტიკ მფარველათ სოფ. ორცვის მღვდელი კაკაბაძე იყო, ეს მღვდელი იყო დიდად მქადაგებელი, მოყვარე ქრისტიანობისა და პატივისმცემელი ქართველთა. ეს მღვდელი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ხალხს ამაგრებდა ქრისტიანობაზედ. ეს ამბები ოსმალთ იცოდნენ და ორცვის კაკაბაძე მღდელს დიდად ემუქრებოდნენ, მაგრამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ზ. ჭ.

შემდეგი იქნება.

## მცირე შენიშვნა.

სამშაბათს, 19 სექტემბერს, უნდა მომხდარიყო შეერთებული კრება გამგე და აღმასრულებელ კომიტეტებისა, რომელნიც უკვე კარგა ხანია ამოირჩია საზოგადოებამ და რომელთ მიენდო თავ. რაფ. ერისთვის იუბილეს დღესასწაულობის მომზადება. როგორც ჩვენ შევიტყეთ, დანიშნული სხდომა არ შემდგარა, რადგანაც ათის წევრისგან მხოლოდ ორი მისულა დანიშნულს ადგილზე! საკვირველი არ არის ამგვარი გულგრილობა და საქმის დაუდევრობა ჩვენის საზოგადო მოღვაწეთაგან: ამას კარგა ხანია შევეჩვიეთ და ამიტომ საგანგებო შეწუხებამ თავი არ უნდა გვატკინოს, მაგრამ შესაწუხებელი ამ შემთხვევაში შემდეგია: საქმე იმ რიგად არის ახლა, რომ შესაძლებელია ვერ დავაგვირგვინოთ საზოგადოების განზრახვა და საყვარელ პოეტის იუბილე ღირსეულად და შესაფერისად ვერ ვიდღესასწაულოთ. შესაწუხებელიც არის და სამარცხვინოც. მთელს ქვეყანას შევატყობინეთ, რომ ვაპირებთ დღესასწაულობას, დღეც ამოვირჩიეთ, თითქმის პროგრამაც შევადგინეთ და ახლა სრულიად უმიზეზოდ, ისე, ხელის გაუნძრევლად, საკვირველის გულცივობით ჩვენვე ვარღვევთ ადვილსა და უბრალო საქმეს?! ბევრად ემჯობინებოდა კრინტიც არ დაგვეძრა, თავს მაინც არ შევირცხვენდით მტრისა და მოყვრის წინაშე!

ორ თვეზედ მეტია დავიწყეთ მზადება, ამოვირჩიეთ კომიტეტები, ავალაპარაკეთ ქართული და რუსული გაზეთებიც, დღეს-კი აღარ ვიცით, რა ვქნათ: განვაგრძოთ საქმე თუ ბავშურათ, აღძრულის ხმაურობით დავკმაყოფილდეთ?!. დღემდის საზოგადოებას ეგონა, რომ კომიტეტები უკვე კარგა ხანია მუშაობენ და უკმაყოფილო იყო მხოლოდ იმ გარემოებით, რომ საჯაროდ არ აცხადებენ თავისს განზრახვასა და დადგენილებათ, ახლა-კი გვესმის, რომ კომიტეტი ჯერ არც შეკრებილა თურმე და ზოგიერთ წევრს იმედიც დაუკარგავს სხდომის მოხდენისა! ეს ნამეტანია სწორედ! საზოგადოებამ აირჩია წევრები კომიტეტებისა და სთხოვა მათ ამ საქმის გაძღოლა; მას აქეთ თვეზედ მეტი გავიდა და თუ აღმორჩეულთ არ სურთ ან არ შეუძლიანთ რაიმე მიზეზის გამო საზოგადოების თხოვნის აღსრულება, რიგი და წესი მოითხოვს—გამოაცხადონ მაინც, რათა საზოგადოებას საშუალება მიეცეს სხვა ღონე იღონოს! ზოგი ამბობს: რადგანაც რამდენიმე ამორჩეულთაგანი სხდომას არ დასწრებია და მათ წინ-და-წინვე თანხმობა არ გამოუცხადებიათ, უფლება აქვთ წევრობა არ იკისრონო. ამგვარი გამართლება შეუძლებელია: მათ, იქნება ფორმალური უფლება ჰქონდეთ, მაგრამ ზნეობრივად ვალდებული იყვნენ ყურადღება მიექციათ საზოგადოების თხოვნისათვის იმ-

---

დამი სიძულილსაც-კი უბადებდა შხამ-ღვარძლიანს გულში: რათ არი ჩემზე მეტიო.

მამა გაიოზისა ლეკში სამუშაოზედ „უღმერთოდ" ხილეულობის ჭამისაგან მომკვდარიყო, და დედა ხატის გზაზედ გადაბრუნებულ ურემს კლდეში ჩაეჩეხნა. გაიოზს კარგად ახსოვს თავისი დედის ტანჯვა-წამებით აღსავსე სიკვდილი. როდესაც-კი მოაგონდებოდა მინდორში მარტოკას სილატაკით დამწვარ-დადაგული ტკბილად მოალერსე დედის ისეთი ჯოჯოხეთური სიკვდილი, გული ზღვასავით აუღელდებოდა, ცხარე მდუღარება გადმოჰსქდებოდა და არ დაცხრებოდა იქამდის, ვიდრე მწარე ქვითინით გულს არ მოიოხებდა სადმე ბუჩქის ძირას მიმჯდარი და გულის ტანჯვა-მწუხარებას მრავალი ცრემლის გადმოღვრით არ შეიმსუბუქებდა. მის თვალთაგან გადმობნეული ცრემლები მარგალიტის მარცვლებათ ეხუნწლებოდნენ მინდვრის ბალახ-ყვავილებს და ალმასის წინწკლებივით ბჭყვრიალებდნენ მზის სხივებზედ—მინამ რომელიმე ნამილოკია სულდგმული არ შესწუწნიდა და ან ორთქლათ არ იქცეოდნენ.

გაიოზს ერთად-ერთი ძმა-ღა ჰყავდა გაუყრელი, რომელიც ერთს მოწნეხილ ქოხის ბუდრუგში სცხოვრობდა თავისს ცოლ-შვილით, და მთელი იმათი ავლა-დიდება ის იყო, რომ შინ კატა არას შეუჭამდათ და გარეთ ძაღლი. ძლივ-ძლიობით გამოჰყავდა დღე-ღღიურად ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ცოლ-შვილი და გაიოზის ჯამაგირს მამასისხლად აღებულ მამა-პაპის ვალების სარგებლის სარგებლებში აძლევდნენ ქვეყნის დამღუპავ მოვახშეებს.

ალაზანზედ სამახსოვრო ვაჟკაცობის გამოჩენისათვის და ერთგულის სამსახურისათვის ზაქარიამ—ვაჟიშვილის დასაფლავების შემდეგ—გაიოზს მინდვრის მოჯამაგირეების სარქლობა ჩააბარა, კაი მუხრახის შავი ჩოხა-შალვარი უყიდა ფეშქაშად და ჯამაგირის მომატებაც აღუთქვა.

მარეხი, რომელიც გაიოზს ელაპარაკებოდა სათონეში თიკოზე, კარგა ხანში შესული ქვრივ-ოხერი იყო. სახლ-კარი ფუტკარივით ნაბღარტ ვალ-ვახჩში გაეყიდნათ მოვახშეებს, არავინ გააჩნდა შამნახავ-დამმარხავი და ზაქარიას ოჯახს ემსახურებოდა ლუკმა პურზედ. სიღარიბის ათას გვარ ქარ-ცეცხლში ნაწრთობ-დადუღებულ მარეხის ამ დღე-მუდამ სხვის ხელში შემაყურებელმა სილატაკემაც ვერ მოუდუნა გულ-მაგარს ხასიათის სიმტკიცე და მიუფერებლად პირშიმთქმელობის გაბედულება. როცა-კი მარეხის ღრმად საგრძნობელი რამ მოეჭიდებოდა გულზე, ისეთი გულ ანთებულის ჭიხჭიხით და ძლევა-მოსილის გარისხებით აამეტყველებდა ენას, რომ მისი გულ-გასაგმირი სიტყვები ადამიანს ცალის თვალით აატირებდა და ცალით აცინებდა. იმისი სამაგალითო მეტყველება არა ერთსა და ორს ქიზიყის ხალხის განსაკუთრებულ ბუნების არ მცოდნეს გაოცება ალტაცებით წარმოათქმევინებდა: ღმერთო ჩემო! სოფლის უბრალო დედაკაცი და ასეთი დემოსთენისებური მჭევრ-მეტყველება!.. მარეხიც, როგორც სხვა საუცხოვოდ მოლაპარაკე ქიზიყელი, მითი ჰხდიდა თავისს მეტყველებას გულის სიღრმემდის ძლიერად საგრძნობელს, რომ რომელიმე აზრის გამოსახატავად მისგან ნახმარი ფრაზები თითქმის თავით ბოლომდე ქართველთა ერის მეტყველების დიდის ხნიდგანვე შემუშავებულ გამოთქმა-მარგალიტებს შეადგენდა და ეს—ჩვენი მდაბიო ხალხის მდიდარი ენის ტეხნიკური ტერმინები ისე შეუჭირვებლად მომდინარეობდნენ მარეხის ლაპარაკში ერთი-ერთმანერთზედ ვერცხლივით მბზინვარე წყაროსავით და ისე მზესავით აცხოველ-მყოფელებდნენ ნათქვამ აზრს, რომ მისი ჰარმონიით აღსავსე ზეპირმეტყველება კაცის სმენას ყურ-მოჭრილ მონად იხდიდა და გულ-გონებას დამღასავით ებეჭდებოდა. საუცხოვო მეტყველებასთან ადამიანის სიავ-კარგის შემცნევის ბუნებითი ალღო-ნიჭიც შესწევდა მარეხს. ისეთნაირ ღრმად ჩამკვირვებელ გამოცდილის თვალით დაგაშტერდებოდით სახეზე წარბ შეჭმუხვნით, თითქოს იმ ერთის შეხედვით უნდა სულის საძირკვლამდის ჩაგხედოთ და გაიგოს: ვინ რა ჭკვა-გრძნობისა და ზნო-უნარის პატრონიაო. მაჭანკლობაში ხომ ცალი არა ჰყავნდა მარეხის: უნდოდა—ყარაჩების სამარცხვინო ჯოჯოს დამწველ სიყვარულს ჩაგიგდებდათ გულში, უნდოდა—ანგელოსის სიძულილს.

ერთხელ, როცა თიკოს ძმა ისევ ცოცხალი ჰყვანდა, გაიოზმა მარეხის პირით სიყვარული შეუთვალა თიკოს და თანაც დააბარა: თუ შენი ნება იქნება, დედ-მამა ჯვარის დაწერას ვერ დაგიშლის, და თუ შენ ჩემი არ გახდები, თავს აღარ ვიცოცხლებო". თიკო ისე გაცეცხლდა დაჭგაბრაზდა თავიანთ მოჯამაგირის ასეთ გაკადნიერებულ „თავხედობაზე", აღარ იცოდა რა ექნა. ძალზე გარისხებულმა თიკომ გულ-სამწვავისად შერისხა მარეხიც ისეთის „წინდაუხედავი" მოციქულობისათვის და უთხრა ბოლოს, როცა ცოტაოდნად გული მოიბრუნა: „ეს რო ჩვენებმა გაიგონ, ხო ორთავ დაგღუპავთ აქადამ. ეხლა იგრე ჰკვიდამ შავიშლები და გადავირევი—ვიღაცა მოჯამაგირე შავირთო!? შენ-კი არ იცი, რო ერთი თავადიშვილი დიდი-ხანია ჩამოჰკიდებია მამაჩემს და იმასაც არ მაძლევსრა. ეგ ერთი-კი მიუქარავ, თავი ქვაზედ უხლია, და თუ დღეის—შემდეგ გაჰბედავს-ღა ეგეთ მქარვას, მაშინ-კი იმის წინწალ გავაქრობინებ ჩვენებს და არც შენ დაგეყრება კარგიო". მარეხიმ ერთი ეს-კი უთხრა: „რა იყო, ქა, იი, დამიფარე ღმერთო ნაცილისაგან, ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვა; მოციქული ღმერთთან მიუგზავნიათ, და შენ რაღაზედ შაჰხტი და შამაჰტრიალდი, თუ ღმერთზედ დიდობასა ჰჩემობ—ის მითხარ, არა-და, ძალიან თავი მოგაქვ და სატაცურივით იმტვრევი, არას მამცემ, ყბასაც მამტეხო", და გამობრუნდა.

თიკოს სიტყვები გავარვარებულ ტყვიასავით მოჰხვდა გულში იმედ გაცრუებულ გაიოზს, მაგრამ მაინც სულის სიმტკიცე არ დაკარგა და მარეხის გამოცდილის რჩევა-დარიგებით გამხნევებული უფრო მეტად სცდილობდა, როგორმე მოენადირებინა თიკოს უწყალო გული. „დაიცა, დაიცა, ვიპოვნი, თიკო, მაგრა დაკეტილ მა შენი გულის გასაღებს, გავაღებ, შამოვალ და გაგიბატონდებიო", იტყოდა ხოლმე გაიოზი თავის გუნებაში და თან ღმერთს ევედრებოდა გულ-მხურვალედ: „ღმერთო და ცისა და ქვეყნის გამჩენო უფალო, იესო-ქრისტევ! შაისმინე ჩემი ცოდვილი ხვეწნა-ვედრება და მამე იგეთი შნო-ვაჟკაცობა რისამე, რო თიკოსაც ჩემი სიყვარული ჰკლავდეს და აგიჟებდეს ჩემსავითაო", ამასა ფიქრობდა და ცდილობდა გაიოზი მთელი სამი წელიწადი, და არც ცუდად ჩაუარა ცდამ: იმ დღის შემდეგ, რა დღესც ალაზანზე გაიოზმა ჯომარდულის გულადობით სახელი გაითქვა, თიკოს სახსალაჯის ცეცხლივით მგზნებარე გულში რაღაც საიდუმლოებით სავსე ცვლილება მოხდა და რაღაც ახალმა გრძნობებმა შეიპყრეს და დაიმონავეს მთელი იმისი ფიქრი, გული და გონება. ბევრსა ცდილობდა თიკო უნებური გრძნობა-ფიქრები თავისს გულშივე მოეკლა და იქვე დაემარხნა გამოუმჟღავნებლივ, მაგრამ არ იქნა, ვერ შეიძლო, პირიქით ის ჯერედ მისგან უცდელი გრძნობები უფრო უმრავალკეცდებოდა, სიცოცლით აღსავსე გულის ძლიერი გრძნობა-სურვილი გონების სურვილს ეურჩებოდა, ებრძოდა და ამარცხებდა სიმძლავრით. გამარჯვებული ვნება ძლევა-მოსილის სიყვარულისა ნიავქარისგან აღელვებულ ჰანდარივით აჟრჟოლებდა, აღშფოთებდა, გულგონებას უბნედავდა, ჯან-ღონეს უსუსტებდა, სულის სიმკაცრე-ავადმყოფობას უჩენდა, ათასი მოსალოდნელი დაბრკოლება გაწბილების შიში სასო-წარკვეთილების შხამ-ნაღველს ასმევდა და ედემის ყვავილივით მინაზებული თიკო დაფარულად იტანჯებოდა დღე და ღამე ამ ყოფაში.

დ. მაჩხანელი.

(დასასრული იქნება).

დენად მაინც, რომ დროზედ გამოეცხადებინათ თავისი უკმაყოფილება არჩევით ან თვისი უარი ან განზრახვა!..

ერთი თვე დაგვრჩა სწორედ დანიშნულ დრომდე და ამიტომ ნება გვაქვს აღმორჩეულთ ვთხოვოთ: ან გამოაცხადონ, რომ არ შეუძლიანთ საქმის დასრულება ან, შეიკრიბნენ დაუყოვნებლივ და საზოგადოების თხოვნისამებრ მოიქცნენ!

ჩვენ შევიტყეთ, რომ კომიტეტის ერთს წევრთაგანს მიუმართავს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლისათვის და უთხოვნია კრების მოწვევა. იმედი ვიქონიოთ, რომ ბ. მარშალი აასრულებს ამ წევრის თხოვნას, თუ არა და იმას მაინც ვითხოვთ, დაუყოვნებლივ შეგვატყობინონ—რას აპირებენ?!

## უცხოეთი

**იაპონია**. კორესი და მანჯურიის დაპყრობა იაპონიას ფორმოზის დაპყრობაზედ ძვირად არ დასჯდომია. დღემდის ეს კუნძული კიდევ არ შეადგენს იაპონელთა სრულს საკუთრებას და პარტიზანული ომი, რომელიც დღემდის არ შემწყდარა ფორმოზის მრავალ მცხოვრებთა შორის, შეუძლებელ ჰყოფს აქ მშვიდობის დამყარებას. მაშინ, როდესაც კორესა და მანჯურიაშა იაპონელნი სწორედ იბრძოდნენ, სადაც ყველაფერი წინადვე იყო აწონილ-დაწონილი გამჰრიახ მძლეველისაგან, ფორმოზაზედ ომს რაღაც საახალშენო ექსპედიციის არეული ხასიათი ეძლევა და ვინ იცის რამდენი მოულოდნელი გარემოება იჩენს ხოლმე თავს. მიუხედავად იმ გაჭირვებისა, რომელსაც ისინი ამ კუნძულზედ სცდიან, იაპონიის ფლოტი და მხედრობა მაინც სწრაფად მრავლდება და ძლიერდება. „ინდეპენდანს ბელჟ“-ი იუწყება, იმის გამო, რომ იაპონელებმა ჩინელთ ფლოტი წაართვეს, რომელმაც სრულიად სხვა სახე და თვისება მიიღო მათ ხელში, იაპონიის სამხედრო ფლოტი უფრო გაძლიერდაო. გარდა იმისა, რომ იაპონელებმა გადააკეთეს ყველა წართმეული გემები, ამ დღეებში მათ დაასრულეს ვეებერთელა ახალის ნიმუშის ჯავშნიანის გემის აშენებაო. იგივე გაზეთი ამბობს, რომ ძნელია იმედი ვიქონიოთ კორე იაპონიის ჯარისაგან განთავისუფლდესო და წინასწარმეტყველობს,—მალე ხელ-ახლად ალიძვრ ის კორეს საქმეო.

—

**ავსტრია.** წრევანდელი საოლქო არჩევანები სამწუხაროდ დაგვირგვინდა ლიბერალებისათვის. საზოგადო საბჭო სულ 138 ადგილს სთვლის, ე. ი. თითოეულმა ოლქმა უნდა აირჩიოს 46 კანდიდატი. მესამე ოლქმა 46 ანტილიბერალი აირჩია; ლიბერალებს წინად 12 ადგილი ჰქონდათ ამ ოლქში, ეხლა-კი სულ მთლად დაკარგეს ადგილები; არც ერთი წინანდელი კანდიდატი არ იქმნა ამორჩეული. მეორე ოლქში 22 კანდიდატი ჰყავდათ წინააღმდეგ 24-სა. ამ არჩევანებზედ ლიბერალებმა დაჰკარგეს 8 ადგილი, რომელიც მათმა მოწინააღმდეგე ანტილიბერალებმა შეიძინეს: დღეს მეორე ოლქში 14 ლიბერალია და 32 ანტილიბერალი. ორივე ოლქში ლიბერალი სულ 14, ხოლო მათი მოწინააღმდეგე ანტილიბერალება 78 კანდიდატია. მესამე ოლქში ლიბერალები უფრო მეტს სთვლიან თავიანთ მიმდევრებს. წინად მათს დასს 40 კანდიდატი შეადგენდა და მოწინააღმდეგე წარმომადგენელთ მხოლოდ 6 ადგილი ჰქონდათ: წრევანდელს არჩევანებზედ ლიბერალებს იმედი ჰქონდათ მარტო ყველა ეს ადგილები-კი არ დაეჭირათ, კიდევ წაემატებინათ ორი ახალი ადგილი. მაგრამ როგორც უკანასკნელ დეპეშიდგანა სჩანს, ამ ოლქშიც დაუკავრგავთ 8 ადგილი. თუ რომ მომავალ განმეორებით არჩევანზედ ანტილიბერალები კიდევ შეიძენენ ერთს ადგილს, მაშინ ლიბერალებს ეყოლებათ საზოგადო საბჭოში მხოლოდ ერთი მესამედი წარმომადგენელთა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

როგორც სჩანს, იაპონია მილიტარიზმის გზას დასდგომია. ის თანდათან უმატებს ხომალდებს და ჯარს. ტოკიოდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ვრემიას“, რომ აქამდის იაპონიის ძალღონე გარდა ზღვაოსან ჯარისა შესდგებოდა ერთის გვარდიისა და ქვეითა ჯარის ექვს დივიზიიდამაო. უკანასკნელთა რიცხვს ახლა კიდევ უმატებენ. იაპონიაში ყოველს წელს ჯარში გასასვლელად კენჭს იღებს 300,000 კაცი, იმათგან ჯარში ირიცხება მხოლოდ 20,000 კაცი, დანარჩენი ზოგი საჭირო დროსთვის ინახება, ზოგს რამე მიზეზებისა გამო სრულებით ანთავისუფლებენ. ვადა სამსახურისა აქამდის სამი წელიწადი იყო, ახლა იქნება წელიწად-ნახევარი. სამაგიეროდ ახალ ჯარის-კაცთა რიცხვი ოცი ათასიდამ ორმოც-და ხუთ ათასამდე ავა. იაპონიას იმედი აქვს საჭირო დროს 480,000 კაცი გამოიყვანოს.

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

პრინცესა მარიამი, მეუღლე პრინც ვოლდემარისა, კოპენჰაგენში ყოველთვის დაესწრება ხოლმე თუ სადმე ცეცხლი გაჩნდა, ელაპარაკება ცეცხლის მქრობლებს ჯარის-კაცებს, აძლევს ბრძანებას, დაურიგონ ხალხს სასმელი და ფული. პრინცესამ ცეცხლის მქრობლის ტანისამოსში ცულით ხელში გადაიღო თავისი სურათი და ცეცხლის მქრობელ ჯარის კაცთ აჩუქა.

### სასამართლოს მატიანე.

—

ოცს სექტემბერს ნაშუადღევის პირველს საათზედ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ სამოსამართლო პალატამ დაადგინა რეზოლიუცია წინა დღით გარჩეულ საქმეზედ. საქმე შეეხებოდა ბებია ქალს სიმპლიცკისას და სტუდენტს ლეონგერმანს. პირველს ჰბრალდებოდა მუცლის გაფუჭება ქალის ეკატერინა ივანოვისა, რომლის შედეგიც ამ უკანასკნელის სიკვდილი იყო, მეორეს—მონაწილეობა ამ საქმეში. სასამართლო პალატამ ორივენი დამნაშავედ სცნო. ქ-ნ სიმპლიცკისას ყოველივე უფლების ახდის შემდეგ მიუსაჯა ციმბირში გადასახლება და სტუდენტს ლეონგერმანს ორი წლით დაპატიმრება. პალატამ დაადგინა აგრეთვე გამოერთვას ქ-ნს სიმპლიცკისას 1,000 მანეთი გირაო, წინააღმდეგ შემთხვევაში დააპატიმრებენ (გაზ. „კავკაზი“).

—

ლუბლინის ოლქის სასამართლოში ამ დღეებში გაირჩა საქმე ვინმე ეკატერინა ზემშალოვისა, რომელსაც ბრალდებოდა დაწვა ანტონინა ბიგუსლავის ორის მცირეწლოვანის ყმაწვილისა. ამ ორ ოჯახს შორის თურმე დიდი მტრობა იყო ჩამოვარდნილი, ამასთანავე ეკატერინა ზემშალოვისას უნდოდა როგორმე თავიდგან მოეშორებინა ეს ორი ყმაწვილი, რომ შემდეგ მათი სამკვიდრო თავის გარდაცვალებულ ქმარის ობოლს ნათესავებს დარჩენოდა. ამ აზრით მას ბავშვები ლოგინზედ დაეწვინა, შემოეწყო ნამჯა და ცეცხლი წაეკიდებინა. ზემშალოვისას ოცი წლით მადნებში მუშობა გარდაუწყვიტეს.

### წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო თავადს კონსტანტინე ასლანის ძეს წერეთელს, რომელმაც თავისს სახლში გამართულის ლატარიიდგან შემოსული ფული სულ ას-ოცი მანეთი გადმომცა სასარგებლოდ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის მოწაფის დავით ჭილლაძისა.

თავადის ალექსანდრე ბაგრატიონ-დავიდოვის ასული კნეინა ნინა წერეთლისა.

## შემოწირულება.

—

რედაქციამ მიიღო პლატონ ბერიძისაგან ხუთი მანეთი კრწანისის გმირთა ძეგლისათვის. იყო ცხრა მანეთი, ამ ფულით ერთად შესდგა სულ 14 მანეთი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 სექტემბერი.

**პარიჟი.** 50,000 კაცამდე მოვიდა პასტერის ნაშთის თაყვანის-საცემლად. საზღვარ გარედგან მრავალი სამძიმრის დეპეშები მოდის. მრავალ ქალაქთა საბჭოებმა გადასწყვიტეს პასტერის დასაფლავებაზედ დეპუტაციის გაგზავნა.

**ფონტენებლო.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, რომელსაც ახლდნენ გარეშე საქმეთა მინისტრი ანოტო და გრაფი მონტებელლო მოვიდა აქ ვიზიტით რესპუბლიკის პრეზიდენტთან. პრეზიდენტთან საუზმის შემდეგ მისი უმაღლესობა წავიდა ფონტენებლოდან. დიდი მთავარი შესაფერის პატივისცემით მიიღეს. მისი უმაღლესობა ვოკზალიდან სასახლეში და სასახლიდან ისევ ვოკზალზედ პრეზიდენტის ეკიპაჟით წავიდ-წამოვიდა.

**ვენა.** გამოცხადებულია იმპერატორის რესკრიპტი, რომელშიაც გრაფი კილმანსეგი სამსახურს თავს ანებებს. მის მაგიერად სამინისტროს მართვა გრაფ ბადენის დაევალა.

### „ივერიის“ ფოსტა.

**გერასიმე ჯანაძეს.** ბენაშვილი და წერეთელი თითონაც გამორიგდნენ ერთმანეთში, და თქვენი ჩარევა მათს დავაში რაღა საჭირო იყო?


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

სახელმძღვანელო

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго

СЛОВАРЯ

ზაგაევისა.

300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

მარგალიტა გოტიე

ალექსანდრე დუმა-შვილისა.

ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.

350 გვერ., ფასი 40 კაპ.

(10—3).

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| III вып. . . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 05 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Сентября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.